

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი #3

ქ. ონი

29. 03. 2018წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მაისურაძე, ჯონი ბურდილაძე, გოჩა მეტრეველი, ლევან შერაზადიშვილი, გივი მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, ღვთისაგარ ბაკურაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, გიორგი მაისურაძე, გიორგი სულაძე, ბესიკ მაისურაძე, ირმა სტეფენაძე-იაშვილი, შორენა რეხვიაშვილი, ბექარ მაისურაძე, გელა მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, აველ ორდინიძე.

არ ესწრებოდა 10 წევრი: შუქურა ჯათარაძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ანა ბაქრაძე, დავით მეტრეველი, დავით სხირტლაძე, გიორგი მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, კესო ჩარკვიანი, როზა ჩალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თამარ ლობჯანიძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცით მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი კობა მეტრეველი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და განვების სამსახურის უფროსი დავით ლეზანიძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალურ საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი მანანა ჩაგელიშვილი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტი გივი მაისურაძე, შპს წყალმომარაგების კომპანიის ონის სერვისცენტრის უფროსი ავთანდილ გავაშელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. ლობჯანიძე/

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. ლობჯანიძე/

3. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: დ. რაზმაძე/

4. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -სივრცითი მონყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. გრძელიშვილი/

5. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. გრძელიშვილი/

6. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: კ. მეტრეველი/

7. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: კ. მეტრეველი/

8. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -განათლების, კულტურის,სპორტის,ახალგაზრობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: მ. ჩაგელიშვილი/

9. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: დ. ლებანიძე/

10. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: გ. მაისურაძე/

11. ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მ. მაისურაძე/

12. შპს ავტოსატრანსპორტის ტერიტორიისათვის ყადაღის მოხსნისა და რუსეთის აგრესიის დროს დაზარალებული მოქალაქეებისათვის ტერიტორიის გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: დ. რაზმაძე/

13. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ს. გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

14. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია, აიპ სასპორტო სკოლასა და სამუსიკო სკოლაში 2017-2018 წელს გაწეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: ს. გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

15. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია: 1. ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მომდინარეობის შესახებ. 2. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

/მომხსენებელი: გ. მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

16. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია-ქ. ონის სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის და მომარაგებაში არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: გ. მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

17. ონის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ფრაქცია „ონი“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

/მომხსენებელი: გ. მარკოიშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. ლობჯანიძე/

თ. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ გამგებლის სახელწოდების ცვლილების შესაბამისად გამგეობა შეიცვალა მერიით, ასევე, შეიცვალა რამდენიმე სამსახურის სახელწოდება, ხოლო სივრცით მონყობის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის

სამსახური გაიყო სივრცით მონაცემებისა და ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურებად, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური კი საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურებად, აქედან გამომდინარე ცვლილება მოხდა მერიის საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. ლობჯანიძე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 3. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: დ. რაზმაძე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ ცვლილება მოხდა სამსახურის სახელწოდებაში, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურს ეწოდება ეკონომიკის სამსახური.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს:4. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. გრძელიშვილი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური გაიყო, ცალკე ჩამოყალიბდა ზედამხედველობის სამსახური, შესაბამისად გაიმიჯნა ფუნქციები და ჩამოყალიბდა პროექტით წარმოდგენილი სახით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: თ. გრძელიშვილი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 6. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნულ სამსახურში არსებული შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ნაცვლად ჩამოყალიბდა სამსახური და შესაბამისად შეიცვალა დებულებაც.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 7. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: ვ. მეტრეველი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 8. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -განათლების, კულტურის,სპორტის,ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: მ. ჩაგელიშვილი/

მ. ჩაგელიშვილმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -განათლების, კულტურის,სპორტის,ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნულ სამსახურში შემცირდა ერთი შტატი, რომელიც დაემატა ადმინისტრაციულ სამსახურს, ასევე შეიცვალა სამსახურის დასახელება და არის -განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, შესაბამისად. ცვლილება შევიდა სამსახურის დებულებაში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 9. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: დ. ლებანიძე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნულ სამსახურს დაემატა მობილიზაციის ფუნქცია, შესაბამისად შეიცვალა სახელწოდება და აქედან გამომდინარე დებულებაც.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 10. მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი: გ. მაისურაძე/

გ. მაისურაძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 11. ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მ. მაისურაძე/

მ. მაისურაძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 12. შპს ავტოსატრანსპორტის ტერიტორიისათვის ყადაღის მოხსნისა და რუსეთის აგრესიის დროს დაზარალებული მოქალაქეებისათვის ტერიტორიის გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: დ. რაზმაძე/

დ. რაზმაძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია შპს ავტოსატრანსპორტის ტერიტორიისათვის ყადაღის მოხსნისა და რუსეთის აგრესიის დროს დაზარალებული მოქალაქეებისათვის ტერიტორიის გადაცემის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

მოისმინეს: 13. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ს.გუგუშაშვილი- განათლების, კულტურის ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 14. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია, აიპ სასპორტო სკოლასა და სამუსიკო სკოლაში 2017-2018 წელს განეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებლის არყოფნის გამო სხდომაზე ინფორმაცია წარმოადგინა კომისიის წევრმა შ. რახვიაშვილმა. მან სხდომას გააცნო განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია, აიპ სასპორტო სკოლასა და სამუსიკო სკოლაში 2017-2018 წელს განეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

მოისმინეს: 15. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია: 1. ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მომდინარეობის შესახებ. 2. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

/მომხსენებელი: გ. მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

გ. მეტრეველმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 1. ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების მომდინარეობის შესახებ. 2. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

მოისმინეს: 16. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია-ქ. ონის სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის და მომარაგებაში არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: გ. მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია-ქ. ონის სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის და მომარაგებაში არსებული პრობლემების შესახებ. ნ. ბურდილაძემ აღნიშნა, რომ ურთულესი მდგომარეობაა სასმელი წყლით მომარაგების კუთხით, წყალი წვიმის დროს იმღვრევა და საერთოდ კეტავენ, ტექნიკურად მოხმარების საშუალებაც არ გვაქვს, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს, როგორ მოიმარაგოს წყალი მოქალაქემ ტექნიკური მიზნებისთვის? ა. გავაშელის თქმით, მათ არ აქვთ ტექნიკური წყლის მიწოდების საშუალება. ა. კერვალიშვილის თქმით, ქვედრულის სათავე- ნაგებობა უნდა იქნას ადგილზე ნანახი, შესწავლილი და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები. კ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ წყლის გათიშვის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს მოსახლეობის მომარაგება და ამ მომსახურებას უნდა ეწეოდეს შპს წყალკანალი. ა. გავაშლმა აღნიშნა, რომ მათ წყლის გათიშვის შემთხვევაში აქვთ ვალდებულება ცისტერნებით მოამარაგონ მოსახლეობა წყლით. ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ ცისტერნები არაა გამოსავალი, ოთხი მდინარის შესართავთან ვცხოვრობთ და არ უნდა გვქონდეს სასმელი წყლის პრობლემა, საკრებულომ, მერიამ წერილობით უნდა მიმართოს

ქვეყნის მთავრობას, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას, თხოვნა კი არაა, მოთხოვნაა საჭირო, როცა მოსახლეობის ჯანმრთელობას ეხება საქმე. ყველაზე ეფექტური ისრაელის ფილტრია, რაც მილიონი ღირს, ორი ფილტრი მოაგვარებს პრობლემას, ამ კუთხითაა მუშაობა საჭირო და შედეგიც იქნება. ვ. ბალაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მართებული იქნება უიჟორეთის ორივე წყალსადენიდან სხვადასხვა ქუჩებზე იქნას წყალი გაშვებული, რომ არ მოხდეს წყლის მიწოდების შეფერხება იმ დაბრკოლების გამო, რასაც ამ ორი წყალსადენის წყლის ერთი მიმართულებით გაშვება იწვევს. ა. გავაშელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მოსაზრება მისაღებია და ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა, ასევე იგეგმება რეზერვუარების მოწყობა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც მოაგვარებს წყლით მომარაგების პრობლემას.

ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ინფორმაცია.

მოისმინეს:17. ონის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ფრაქცია „ონი“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

/მომხსენებელი: გ. მარკოიშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

გ. მარკოიშვილმა საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ფრაქცია „ონის“-ს თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა ფრაქციის სხდომის ოქმი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ ირმა სტეფანაძე-იაშვილის არჩევის შესახებ

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 თებერვლის N 225 ბრძანება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N405 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილებების ასახვისა და შესყიდვების დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოიწვია იმან, რომ განკარგულებაში სოფ. ღარის ნაცვლად მითითებული იყო სოფ. ბაჭინევი, რაც გასწორდა აღნიშნული განკარგულებით.

შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯათარაძე

საკრებულოს თავმჯდომარე